



მისეელ თუმანიშვილის სახელობის
ოქტრალური სელოენების განეიარების
ფონდი

Tumanishvili Theatre Foundation

ქართული პიესა 2012



გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2013

ნანუკა სეფაშვილი

ქარის სიმფონია

ქანი – მწერალი

კაცი – სასტუმროს ადმინისტრატორი

ქალი – ქანის მეგობარი ქალი

სასტუმროს დამლაგებელი ქალი

სასტუმროს ვესტიბიული. შემოდის ქალი, მიდის ადმინისტრატორთან.

ქალი – აქ არის ქანი?

კაცი – არა!

ქალი – მაღე მოვა?

კაცი – არა!

ქალი – სად არის?

(კაცი თავით ანიშნებს ზევით)

ქალი – მერვეზე?

(კაცი თავს აქნევს უარყოფის ნიშნად)

ქალი – მესამეზე?

კაცი – უფრო ზევით!

ქალი – (შეწუხებული) მერვეზე?

კაცი – უფრო ზევით!

ქალი – (გაოცებული) სხვენში? რას აკეთებს ქანი სხვენში?

კაცი – (გაბრაზებული) უფრო ზევით!

ქალი – სხვენის ზევით კიდევ არსებობს რამე?

კაცი – დიას, ზეცა!

ქალი – ზეცა? რა უნდა ზეცაში ჟანს?!

პაუზა

ქალი – (გაოგნებული) ჟანი მოკვდა?

კაცი თავს აქნევს თანხმობის ნიშნად.

ქალი – (ტირის) ის ისეთი კეთილი იყო, ისეთი...

კაცი – (აწყვეტინებს) არ მიკითხავს!

(ქალი გაოცებული შეხედავს)

პაუზა

ქალი – როგორ აწუხებდა გული... ვიცოდი, რომ ერთ დღესაც ვეღარ გაუძლებდა და...

კაცი – (აწყვეტინებს) თავი მოიკლა!

ქალი – რა?

კაცი – არ მიყვარს იმის გამეორება, რაც ვიცი, რომ გაიგონეს!

პაუზა

ქალი – (მოულოდნელად) ჟანი თავს არ მოიკლავდა!

კაცი – მას აიძულეს, რომ თავი მოეკლა!

ქალი – ვინ აიძულა?

კაცი – მე!

ქალი – რა თქვით?

კაცი – თქვენ ისევ მეკითხებით იმას, რაც უკვე გაიგონეთ!

პაუზა

ქალი – საერთოდ არ გაწუხებთ სინდისი?!

კაცი – თქვენ როგორ ფიქრობთ?

ქალი – ალბათ, სრულებითაც არა!

კაცი – რა აზრი აქვს იმის კითხვას, რისი პასუხიც წინასწარ იცით?

პაუზა

ქალი – (მოულოდნელად) რატომ ხართ ასეთი?

კაცი – როგორი?

ქალი – (დაბნეული) ასეთი...

კაცი – ბუნდოვანი კითხვაა.

პაუზა

კაცი – რა მოხდა განსაკუთრებული?! ადამიანები ხან იბადებიან, ხანაც კვდებიან!

ქალი – როგორ შეგიძლიათ ასე ილაპარაკოთ?! თქვენ იცით, ვინ იყო ჟანი?!

კაცი – არა, გადმოცემით!

ქალი – ის მწერალი იყო, საუკეთესო მწერალი!

კაცი – არა უშავს, იქაც შეუძლია გააგრძელოს თავისი ნოველების წერა, არავინ დაუშლის.

ქალი – ის ნოველებს კი არა, რომანებს წერდა!

კაცი – ახლა ეს უფრო მნიშვნელოვანია, თუ ის, რომ მისი მკვლელი თქვენ წინაშე დგას?

ქალი – მე არ მჯერა, რომ ჟანი თქვენ მოკალით!

პაუზა. თვალებში უყურებენ ერთმანეთს.

ქალი – რა, ჟანი მართლა თქვენ მოკალით?! თქვენ აიძულეთ?

კაცი – (ამ ხნის განმავლობაში პირველად გაიცინებს. მხიარულად და სწრაფად ამბობს) იცით, მე მან მაიძულა, რომ თავად მეიძულებინა, თავი მოეკლა (ისევ დასერიოზულდება).

ქალი – (უყვირის) თქვენ მე ჭკუიდან შემშლით!

კაცი რაღაცას ეძებს.

ქალი – (შეშინებული) რას ეძებთ?

კაცი – იარაღს!

ქალი – რატომ?

კაცი – საშუალებას გაძლევთ, სამართალი აღადგინოთ... და წონასწორობა დედამიწაზე...

ქალი – (უყვირის) მე მკვლელი არ ვარ!

კაცი – მაგრამ, თქვენ ხომ ის გიყვარდათ?

ქალი – შეძლებისდაგვარად...

კაცი – (პოულობს იარაღს, აწვდის) შეგიძლიათ მომკლათ!

ქალი – იქამდე მიმიყვანთ, მაიძულებთ, მეც თავი მოვიკლა. თქვენ, ალბათ, სერიული მკვლელი ხართ!

კაცი – ალბათობის თეორიით ყველაფრის დაშვება შეიძლება!

ქალი – მე სიკვდილი არ მინდა!

კაცი – მე ეს არც მითქვამს!

ქალი – მაშინ, შეინახეთ ეს საშინელი ნივთი!

კაცი – თუ თქვენ ეს დაგამშვიდებთ! (ინახავს)

პაუზა

ქალი – (მოულოდნელად) რატომ მოკალით ჟანი?

კაცი – გრძელი ამბავია, თანაც დაუჯერებელი.

ქალი – (გამოკვეთილად, სიტყვებს შორის პაუზით) რატომ მოკალით ჟანი?

კაცი – თქვენ წაგიკითხავთ მისი რომანები?

ქალი – რამოდენიმე!

კაცი – (დაფიქრებული იმეორებს) რამოდენიმე...

ქალი – იმაზე მიპასუხეთ, რასაც გეკითხებით!

კაცი – ვცდილობ გავარკვიო, შეძლებთ თუ არა ჩემი მონაყოლის დაჯერებას.

ქალი – (კატეგორიულად) მომიყევით!

დამლაგებელი – (მოულოდნელად ერევა მათ საუბარში) ასეთი ადამიანები ყოველთვის ადრე კვდებიან!

ქალი – როგორი?

დამლაგებელი – ჟანისნაირი... მწერლები, კარგი მწერლები...

ქალი – თქვენ იცნობდით ჟანს?

დამლაგებელი – ჰო... ამ კიბეზე აღიოდა ხოლმე, მერე ჩამოდიოდა... თქვენც დაგინახეთ ერთი-ორჯერ... ახვედით და ჩამოხვედით... საერთოდ ყველა ამ კიბეზე ადის და ჩამოდის...

ქალი – აქ მხოლოდ ერთი კიბეა.

დამლაგებელი – ჰოდა, მეც მაგას ვამბობ.

პაუზა

კაცი – (ქალს) „ქარის სიმფონია“ გახსოვთ? მისი უკანასკნელი რომანი.

ქალი – ჯერ არ წამიკითხავს, მას იმდენი რამ აქვს დაწერილი...

ჟანი – (ადმინისტრატორს) ჩემი უკანასკნელი რომანი... რატომ უკანასკნელი? შენ ხომ თქვი, რომ მე ისევ შემიძლია წერა?

ქალი (ჟანს) – კარგი რა, ჟან! შენ არასდროს შეგეძლო ნორმალურად ცხოვრება, ყოველთვის შენს ფურცლებს ჩაკირკიტებდი.

ჟანი – ეს ერთადერთი საქმეა, რომელიც კარგად გამომდის. (საზეიმოდ აცხადებს) ნაწყვეტი:

" მხოლოდ მას შეეძლო ნამდვილი მუსიკის შექმნა, მხოლოდ ის ქმნიდა ნამდვილ მელოდიას ნამდვილი ბგერებით... უეცრად, სულ არაფრიდან, უაზრო ხმაურიდან რომ იკვეთებოდა... არ ჩერდებოდა მისი დაძარღვული ხელები... მიწას, ცეცხლს, ჰაერს, ყოველ სტიქიას ურევდა ერთ დიდ სივრცეში და ქმნიდა რიტმებს... სიჩუმის წამები, ყველაზე მძლავრი... ეს ნიშანი იყო, ნიშანი მისი გამარჯვებისა... და ეშვებოდა დირიჟორის ჯოხი, ხმაურით აპობდა დამფრთხალ ჰაერს და ზეიმობდა გამეფებას ყოველ სულდგმულზე. ის ღმერთი იყო... ბგერების ღმერთი... მას ერქვა ქარი..."

პაუზა

დამლაგებელი – უკეთესადაც შეგეძლო, ჟან, რა საჭიროა ეს მაღალფარდოვნება?!

პაუზა

ქალი – ამ ადგილს რა ჰქვია, სადაც ჩვენ ვართ?

დამლაგებელი – ყოველ შემთხვევაში, არც სამოთხეა და არც ჯოჯოხეთი.

ჟანი – ადრე არ ვიცოდი, ამ ორი ადგილის გარდა სხვაც თუ არსებობდა.

დამლაგებელი – არა უშავს, ჟან, ახლა ხომ იცი?!

პაუზა

კაცი – (ჟანს) სიკვდილის სცენა... საუკეთესო ეპიზოდი იყო შენს რომანში. მეც სიტყვასიტყვით შევასრულე, ჟან! არაფერი გამომიტოვებია... (პაუზა) მწერალი, რომელიც სიკვდილზე ოცნებობს, უამრავჯერ ცდის, მაგრამ ბოლო წამებში მაინც მთელი ძალით ებლაუჭება სიცოცხლეს... სხვა ვინ უნდა დაეხმაროს საყვარელ მწერალს სურვილის ასრულებაში, თუ არა მისი ერთგული მკითხველი, რომლის გარეგნობა იმ პერსონაჟის აღწერილობას დაემთხვა, მწერალი საიქიოს რომ გაისტუმრა...

ჟანი – ჰო... მაგრამ რა აზრი ჰქონდა სიკვდილს?! ახლა აღარ ვიცი, სად ვარ. ეს არც მიწაა და არც ცა. მგონი, უკვე გულიც კი მწყდება. მხოლოდ 36 წლის ვიყავი...

დამლაგებელი – წლები არაფერს ნიშნავს, ჟან! მე 54 ის ვიყავი, მაგრამ მიწაზე საინტერესო არაფერი მომხდარა.

პაუზა

ქალი – ახლა ყველაფერი თავიდან დაიწყება, არა? (სცენიდან გადის)

ჟანი – ჰო, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის...

ხანგრძლივი პაუზა.

ყველა თავის საწყის პოზიციას იკავებს სცენაზე, ისევე, როგორც სპექტაკლის დასაწყისში. შემოდის ქალი, მიდის ადმინისტრატორთან.

ქალი – აქ არის ჟანი?

კაცი – არა!

ქალი – მალე მოვა?

კაცი – არა!

ქალი – სად არის?

(კაცი თავით ანიშნებს ზევით)

ავტორი: ნანუკა სეფაშვილი